

შპს „გარდაბნის თბოსადგური“



სატენდერო დოკუმენტაცია
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

საკანცელარიო საქონელი

CPV 30100000

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 საკანცელარიო საქონლის (შემდგომში-საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა, თანდართული ტექნიკური პირობების (პუნქტი 9; საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები) შესაბამისად.

2. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - არ გამოიყენება.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და მიწოდების პირობა

3.1 მიწოდების ვადა: საქონელი მიწოდებულ უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

3.2 მიწოდების ადგილი: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2ბ.

3.3 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება, პრეტენდენტის წინადადების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 3'138 ლარი, დღგ-ს გარეშე;

4.2 შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) წინადადების ფასი დაფიქსირებულ უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით დღგ-ს გარდა;

4.3 წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;

4.4 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა), პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (დასაბუთება შესაძლებელია განხორციელდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ანგარიშ-ფაქტურით ან/და ინვოისით ან/და სასაქონლო ზედნადებით ან/და საბაჟო დეკლარაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

- პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

4.5 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

4.6 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება წინადადების ფასის დღგ-ს შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.7 პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შემსყიდველის მიერ ფასის განსაზღვრა შესაძლებელია ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;

4.8 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება ლარში;

4.9 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

5. ზოგადი პირობები

5.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

5.2 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა);

5.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში (დანართი #3), რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლებელია დაზუსტდეს სატენდერო წინადადების შესაბამისად;

5.4 წინამდებარე დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“, „ანალოგი“ ან „ეკვივალენტური“.

5.5 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

6. ინფორმაცია პრეტენდენტებისათვის

6.1 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით, პრეტენდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, განახორციელოს სატენდერო განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი დაზუსტება/განმარტება;

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან;

6.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი: ნათია ბოქლოიშვილი - მობ 555 254747.

7. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია/ინფორმაცია

7.1 ფასების ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად;

7.2 პრეტენდენტის რეკვიზიტები, დანართი №2-ის შესაბამისად;

8. ნიმუშების წარმოდგენა

8.1 ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი ვალდებულია წინადადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 პუნქტით (საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები) განსაზღვრულ საქონელზე უზრუნველყოს ნიმუშის წარმოდგენა, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2ბ.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისიის მიერ განხორციელდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, შემდგომი დაბალფასიანი პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ნიმუშების წარმოდგენა განხორციელდება სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში (არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში);

8.3 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშ(ებ)ი იქნება უხარისხო და არ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, სატენდერო კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სატენდერო პროცედურებიდან;

8.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ნიმუშ(ებ)ი დაზუსტებას არ ექვემდებარება.

9. საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები

1	30193400	კლიპსი	ქაღალდის დამჭერი №25 , 12 ცალიანი	შეკვრა	50,00
2	30193400	კლიპსი	ქაღალდის დამჭერი №32, 12 ცალიანი	შეკვრა	50,00
3	30193400	კლიპსი	ქაღალდის დამჭერი №41, 12 ცალიანი	შეკვრა	25,00
4	30193400	კლიპსი	ქაღალდის დამჭერი №51, 12 ცალიანი	შეკვრა	25,00
5	30192133	სათლელი	ფანქრის	ცალი	30,00
6	30192160	კორექტორი	შტრიხ-პასტა, მეტალის წვერით, 8მლ	ცალი	50,00
7	30192160	კორექტორი	ფუნჯით არანაკლებ 20 მლ/	ცალი	50,00
8	30192160	კორექტორი	ლენტა, როლერი სიგანე არანაკლებ 5 მმ, სიგრძე არანაკლებ 6მ.	ცალი	30,00
9	30195000	სამდივნო დაფა	ერთმაგი A4	ცალი	50,00
10	30195000	სამდივნო დაფა	ორმაგი A4	ცალი	50,00
11	30192000	წებო	თხევადი წებო ორმხრივი წვერით 35მლ	ცალი	30,00
12	30192000	წებო	მშრალი წებო PVP 15გ	ცალი	30,00
13	30199230	კონვერტი	დიპლომატი	ცალი	20,00
14	30199230	დისკის კონვერტი	ქაღალდის გაუმჭვირვალე	ცალი	100,00
15	30141200	კალკულატორი	12 სიმბოლოიანი, ზომით არანაკლებ 18X12 სმ-ზე.	ცალი	10,00
16	30192121	კალამი ბურთულიანი	0.7 მმ-იანი წვერით, ლურჯი, ღილაკით, ,საშუალო ხარისხის	ცალი	80,00
17	30192121	კალამი ბურთულიანი	0.7 მმ-იანი წვერით, წახნაგებიანი პლასტმასის კორპუსით, წითელი	ცალი	80,00
18	30192121	კალამი ღილაკით	ლურჯი,მეტალის საკიდით 0.7მმ წვერით, უმაღლესი ხარისხის	ცალი	100,00
19	30192122	საწერი კალამი მელნის	ვოლფრამის კარბიდის 0.7მმ კონუსისებრი წვერით, მელნის მიწოდების კაპილარული დისპენსერით, ერგონომიული რეზინის ხელსაკიდით, ჯიბეზე მეტალის საკიდით, პრიალა კორპუსით, ხუფით, ხუფზე ფერის მაჩვენებლით, ლურჯი	ცალი	80,00
20	30192122	საწერი კალამი მელნის	ხაოიანი კორპუსით, მეტალის საკიდით, მელნის მიწოდების გამჭვირვალე კაპილარული დისპენსერით, ხუფით, ხუფზე ფერის მაჩვენებლით, კორპუსზე კალამში მელნის დონის მაჩვენებელი დანაყოფებით, ზომა არანაკლებ 138მმ, წვერი 0.5მმ, ლურჯი/შავი ფერის	ცალი	80,00
21	30193200	ორგანიზერი (შავი ფერი)	ოთკუთხედი პრიალა კორპუსით 10 ჯიბით, შიგთავსი; სკოჩის სტაციონალური მოსახვევი წებოვანი ლენტით, ორი კალამი, ორი ფანქარი, მალრატელი 175მმ, დანა 125მმ, ანტისტეპლერი,საშლელი, სტეპლერი №10,სტეპლერის ტყვია №10, მეტალის სახაზავი 15 სმ-იანი	ცალი	20,00
22	30197120	ჭიკარტი დიდი	ფერადი, პლასტმასის თავით, შეკვრაში 35ცალი	კოლოფი	25,00
23	30197120	ჭიკარტი პატარა	მეტალის	კოლოფი	15,00
24	30192125	მარკერი	წაკვეთილი თავით; კორპუსის სიგრძე არანაკლებ 105 მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7 მმ დიამეტრიარანაკლებ 4 მმ. (სხვადასხვა ფერის)	ცალი	60,00
25	30192134	ფანქრების და პასტების ჩასადები	სეტკის, სიმაღლე 10-12 სმ.	ცალი	10,00
26	30192000	სკოჩი დიდი	გამჭირვალე, სიგანე 48 მმ, სიგრძე არანაკლებ 40 მ	ცალი	200,00

27	30192000	სკოჩ პატარა	გამჭირვალე	ცალი	50,00
28	30192000	მონიტორის საწმენდი სველი სალფეთეი	ეკრანის/მონიტორის საწმენდი მოთავსებული უნდა იყოს ყუთში, თავსახურით. სველი სალფეთეები ერთმანეთზე უნდა იყოს გადაბმული და ადვილად მოსახევი. თითო სალფეთეის ზომა უნდა შეადგენდეს 14X18სმ და უნდა იყოს მინიმუმ 100 ცალი. ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს მინიმუმ 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.	ცალი	30,00
29	30192000	მონიტორის საწმენდი სითხე	LCD/TFT/PDA მონიტორის საწმენდი სითხე; 125 მლ	ცალი	30,00
30	30192000	ურნა საკანცელარიო	მეტალის ბადე	ცალი	10,00
31	30192000	სახაზავი	რკინის 30 სმ	ცალი	10,00
32	30192000	საკანცელარიო დანა დიდი	დიდი, მეტალის კომბინირებული კორპუსით, სათადარიგო დანის პირით, მრავალჯერადი გამოყენების, საჭრელი პირების შეცვლის და დანის პირის არანაკლებ 10 პოზიციაზე დაფიქსირების ფუნქციით, ტარი პლასტმასის, რეზინის ელემენტებით, დანის პირის მიმართველი და ჩამკეტი ფიქსატორი ლითონის, დანის პირის მიმართველი ბუდის სამუალო სიგრძე არანაკლებ 140 მმ, სიგანე არაუმეტეს 18 მმ.ინდივიდუალურად შეფუთული ბლისტერში და ორი სათადარიგო პირით კომპლექტში.	ცალი	50,00
33	30192000	საკანცელარიო დანის პირები	25 მმ	ცალი	100,00
34	30192125	მარკერი პერმანენტი	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ 4მმ , თავის წვერი არაუმეტეს 1,5მმ შავი	ცალი	50,00
35	30192125	მარკერი პერმანენტი	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ 4მმ , თავის წვერი არაუმეტეს 1,5მმ ლურჯი	ცალი	50,00
36	30192125	მარკერი პერმანენტი	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ 4მმ , თავის წვერი არაუმეტეს 1,5მმ წითელი	ცალი	50,00
37	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით. 2,5 მმ შავი	ცალი	50,00
38	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით,2,5 მმ ლურჯი	ცალი	50,00
39	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით,2,5 მმ წითელი	ცალი	50,00
40	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით,5 მმ შავი	ცალი	50,00
41	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით,5 მმ ლურჯი	ცალი	50,00
42	30192125	მარკერი პერმანენტი	პერმანენტ მარკერი ორმხრივი, მრგვალი და წაკვეთილი წვერით,5 მმ წითელი	ცალი	50,00
43	30192125	მარკერი	ორივე მხრიდან საწერი, ერთ მხარეს 0.5მმ ხოლო მეორე მხარეს 1.0მმ წვერით, სწრაფად შრობადი, წყალმედეგი კონსისტენციის, ჩამოსაკიდით,კორპუსის სიგრძე არანაკლებ 140მმ, სხვადასხვ ფერის (მეტალის, ხის, მინის,ქვის ზედაპირებზე წერის შესაძლებლობით)	ცალი	50,00
44	30192000	ბეიჯი ზონრით	ზომა 85x53მმ, ID ან მაგნიტური ბარათების ჩასადებად	ცალი	50,00
45	30192000	ლუპა	ლუპა სანათით 3x გადიდებით 158x71x25მმ	ცალი	8,00
46	30192000	ფულის რეზინა	ფულის რეზინა 500გ	შეკვრა	2,00

47	30195000	თეთრი მაგნიტური დაფა	90x120 სმ, უჯრიანი ფაქტურის ზედაპირით (3 ცალი)	ცალი	2,00
48	30195921	დაფის საშლელი	საწმენდი პირი ქეჩის, დაფას უნდა ეკვროდეს საწმენდი მხრიდან ,მაგნიტური.	ცალი	2,00
49	30192125	დაფის მარკერები სამი ფერი	კორპუსის სიგრძე არანაკლებ 125მმ; თავის სიგრძე არანაკლებ 7მმ/ დიამეტრი არანაკლებ4მმ, სხვადასხვა ფერის, შეკვრაში 3 ცალი	შეკვრა	50,00
50	30192000	დაფის მაგნიტები	12 ცალიანი 0.20მმ დიამეტრის ,6 სხვადასხვა ფერის, თითო ფერი 2-2 ცალი	ცალი	30,00
51	30196200	დივაიდერები 1-12	დივაიდერი 1-12 ციფრი/ფერი	ცალი	50,00
52	30196200	დივაიდერები 1-8	დივაიდერი 1-10 ციფრი/ფერი	ცალი	50,00
53	30192100	საშლელი	არა ნაკლებ 35x36x11მმ; სირბილე 4B	ცალი	20,00
54	30199792	მაგიდის კალენდარი	ზამზარით	ცალი	20,00
55	30192130	ფანქრები ჩვეულებრივი	ზოლიანი კორპუსით, გათლილი, 2B სირბილის, B საშლელით	ცალი	80,00
56	30192000	მაკრატელი	17.5 სმ , პლასტმასის ხელსაკიდით	ცალი	30,00

შენიშვნა:

- მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მახასიათებლებსა და საქონელზე არსებულ სტანდარტებს;

დანართი №1 - ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	მწარმოებელი და წარმოშობის ქვეყანა	განზ.	რაოდ	ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)	საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)	ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	კლიპსი			შეკვრა	50,00					
2	კლიპსი			შეკვრა	50,00					
3	კლიპსი			შეკვრა	25,00					
4	კლიპსი			შეკვრა	25,00					
5	სათლელი			ცალი	30,00					
1	კლიპსი			შეკვრა	50,00					
7	კორექტორი			ცალი	50,00					
8	კორექტორი			ცალი	30,00					
9	სამდივნო დაფა			ცალი	50,00					
10	სამდივნო დაფა			ცალი	50,00					
11	წებო			ცალი	30,00					
12	წებო			ცალი	30,00					
13	კონვერტი			ცალი	20,00					
14	დისკის კონვერტი			ცალი	100,00					
15	კალკულატორი			ცალი	10,00					
16	კალამი ბურთულიანი			ცალი	80,00					
17	კალამი ბურთულიანი			ცალი	80,00					
18	კალამი ღილაკით			ცალი	100,00					
19	საწერი კალამი მელნის			ცალი	80,00					
20	საწერი კალამი მელნის			ცალი	80,00					
21	ორგანიზერი (შავი ფერი)			ცალი	20,00					
22	ჭიკარტი დიდი			კოლოფი	25,00					
23	ჭიკარტი პატარა			კოლოფი	15,00					
24	მარკერი			ცალი	60,00					
25	ფანქრების და პასტების ჩასადები			ცალი	10,00					
26	სკოჩი დიდი			ცალი	200,00					
27	სკოჩ პატარა			ცალი	50,00					
28	მონიტორის საწმენდი სველი საღებო			ცალი	30,00					
29	მონიტორის საწმენდი სითხე			ცალი	30,00					

30	ურნა საკანცელარიო		ცალი	10,00					
31	სახაზავი		ცალი	10,00					
32	საკანცელარიო დანა დიდი		ცალი	50,00					
33	საკანცელარიო დანის პირები		ცალი	100,00					
34	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
35	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
36	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
37	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
38	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
39	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
40	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
41	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
42	მარკერი პერმანენტი		ცალი	50,00					
43	მარკერი		ცალი	50,00					
44	ბეიჯი ზონრით		ცალი	50,00					
45	ლუპა		ცალი	8,00					
46	ფულის რეზინა		შეკვრა	2,00					
47	თეთრი მაგნიტური დაფა		ცალი	2,00					
48	დაფის საშლელი		ცალი	2,00					
49	დაფის მარკერები სამი ფერი		შეკვრა	50,00					
50	დაფის მაგნიტები		ცალი	30,00					
51	დივაიდერები 1-12		ცალი	50,00					
52	დივაიდერები 1-8		ცალი	50,00					
53	საშლელი		ცალი	20,00					
54	მაგიდის კალენდარი		ცალი	20,00					
55	ფანქრები ჩვეულებრივი		ცალი	80,00					
56	მაკრატელი		ცალი	30,00					

შენიშვნა:

-პრეტენდენტმა უნდა შეავსოს ფასების ცხრილის მე-3, მე-4, მე-7, მე-8 და მე-11 გრაფები (თუ პრეტენდენტი დღეს გადამხდელია უნდა შეავსოს მე-9 და მე-10 გრაფებიც);

- პრეტენდენტმა ფასების ცხრილის მე-3 გრაფაში უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის დეტალური მახასიათებლები სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 პუნქტით (საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები) განსაზღვრული ყველა პარამეტრის გათვალისწინებით;

ხელმოწერა, ბეჭედი -----

სადანართი №2 - რეკვიზიტების

ფორმა რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ზეჭედი -----

დანართი № 3 - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფორმა და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს
ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე)

ქ. გარდაბანი, -----, 2017 წ.

ერთის მხრივ, შპს “გარდაბნის თბოსადგური” (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ----- სახით, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის ----- შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “რ” ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში SPA ----- (შემდგომში - ტენდერი) გამარჯვებულად გამოცხადდა ----- ფასით ----- -- ლარი დღგ-ს გარეშე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ----- (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV30100000).
- 1.2. საქონლის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1. “შემსყიდველი” უფლებამოსილია მოსთხოვოს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- 2.2. “შემსყიდველი” ვალდებულია, უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- 2.3. “მიმწოდებელი” უფლებამოსილია, მოსთხოვოს “შემსყიდველს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- 2.4. “მიმწოდებელი” ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

3. საქონლის მიწოდების პირობები

- 3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2ბ;
- 3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული საქონლის მიღებაზე.

4. საქონლის ხარისხი

- 4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ საქონლის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხარისხს და ტექნიკურ მაჩვენებლებს და საქონლისადმი დადგენილ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

- 5.1. საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს ----- ლარს დღგ-ს გარეშე, (თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მიმწოდებელი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში მას აუნაზღაურდება დღგ-ს განაკვეთი ----- (------) ლარის ოდენობით.)
- 5.2. ანგარიშსწორების განასახორციელებლად საჭირო დოკუმენტ(ებ)ი:
 - სასაქონლო ზედნადები;
 - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იხ. წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 5.1);
- 5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, საქონლის მიწოდებიდან და 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის სრულად მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებულ საქონელს, საქონლის ვარგისიანობის პერიოდში, არ გააჩნია ნაკლი.

6.1.1. საგარანტიო პერიოდში ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს მის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს ----- სამუშაო დღისა. ნაკლის აღმოფხვრა უნდა მოხდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად საქონლის შეკეთებით ან ახლით შეცვლით.

6.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ნაკლიანი საქონლის ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა შემსყიდველის მიერ მისთვის (მიმწოდებლისათვის) პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ორი კალენდარული დღისა უნდა გადაიხადოს.

6.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.3. ნაკლიანი საქონლის მიწოდების შედეგად შემსყიდველისთვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5. საქონლის მოწოდების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

6.6. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.7. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

7.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს საქონლის კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

8.3.1. საქონლის მოცულობის, ხარისხისა და ვადების წინადასტურებელი ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

8.3.2. შეამოწმოს საქონელი მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე.

8.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

8.4. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩათვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის -- -----.

10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

12.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები